

შინაური საქმეები

№ 11.

კვირა, 14 მარტი, 1910 წ.

აღმდანი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

უოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: თეატრი და რელიგია... საქმისთვის ვერ მიგვიგნია... მწარე ფიქრები:—გულშემატკივარისა კრწანისის ომი:—ივერიელისა; ცულ ქმრობა:—დეკ. მ.

ტყვემალძისა; შენიშენის შენიშენა:—ლას-ბანელისა; კვირიდან კვირობამდე?..

ქურნალი „შინაური საქმეები“ წლიურ ხელმომწერლებს დაურიგებს პრემიამთ შაფვის თხუზულეობას „იასო ქრისტე“ საქვირველთა ისტორიისა.

უოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებს“

ხელის მოწერა მიადება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ზ 10 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

რელიგიისა და თეატრი.

ამ სათაურით მოთავსებულია გაზ. „როსიაში“ წერილი, რომელიც აფიქრობთ, ინტერეს მოკლებული არ იქნება ჩვენ მკითხველთათვის.

„ქრისტიანობა—ამბობს ავტორი—გამოჩნდა ქვეყნად, როგორც მოძღვრება ადამიანის ცხოვრების სიფაქიზესა და სიწმინდეზე, ქეშმარიტ კაცობრიობაზე. ამიტომ მას თვით უსასტიკესი მსჯავრი უნდა დაედო წარმართე.

ბის ცხოვრებაზე, მათ ზნესა და ჩვეულებაზე. ქრისტიანობა რომ ვერ შეურიგდა და გაიქცა კიდევ გლადიატორების თამაში და სხვა მრავალი სისხლით სავსე ცირკის სანახავეები, ამასთვის მას ერთი სიტყვითაც არავინ უსაყვედურებს. მაგრამ ძველმა დრომ იცოდა ღრამა, ტმაგედია და კომედია.

კლასიკურ თეატრს, რომელიც თვალწინ უხატავდა მოქალაქეებს სამშობლო ისტორიის და აღ ამბებს, კეთილი გავლენა ჰქონდა იმ დროინდელ საზოგადოების სულიერ მდგომარეობაზე; ქალი სრულიად არ ღებულობდა მონაწილეობას სცენაზე და ეს გარემოება აშორებდა ზნეობას ერთ ერთ საშიშროების წყაროს. ეს ის დრო იყო, როცა წარმართთა საზოგადოების აზრთა მპყრობელნი იყვნენ სოგრატი და პლატონი, ეს ქრისტიანობის წინასწარმეტყველები წარმართთა შორის. მაგრამ ქრისტიანობას პირველ დღიდანვე უკვე სხვა თეატრი დახვდა—ვნებათა აღმძვრელ სცენებით და შემადღუნებელ პანტომიმებით სავსე. სადაც ყოველ ნაბიჯზე ფეხქვეშ ითელეობდა ზნეობრივი და ესტეტიური გრძნობა, სასაყინოთ იგდებდენ სათნოებას, მასხრად იღებდენ ღმერთებს.

მართალია ქრისტიან იმპერატორების დროს, მეექვსე საუკუნეში, თეატრს ჩამოშორდა ბევრი წარმართული თვისებანი



— ღმერთების მოწოდება და მსხვერპლი— მაგრამ დანარჩენ შემთხვევაში მას ისევ წარმართული ელფერი ჰქონდა, რომელიც აღვიძებდა და ამაგრებდა ადამიანში ქვედა ვნებებს. ასეთი თაყვანის მცემელი ესტეტისა, როგორც ივლიანე განდგომილი, ტყვილათ არ აძაგებს მის თანამედროვე გასართობებს. ოვიდიოსი კი, კაცი არა მკაცრი ზნეობისა, ეძახის მათ სადღესასწაულო ტანისამოსში გახვეულ ბიწიერებას. წმ. კობრიანე და ტერტულიანი თანამედროვე თეატრის სანახაობას ისე ნათლად გვისურათებენ, რომ ჩვენ უარს ვაცხადებთ მის გადმოცემაზე. ლაქტანცი ამაბობს, რომ თეატრი, ასურათებს რაკრუ მრუშებას, ნამდვილ მრუშებას ასწავლის; რომ თეატრიდან დაბრუნებულნი არა თუ ახალგაზდები, არამედ მოხუცებულებიც მიდიან შინ უფრო გარყვნილნი, ვიდრე მაშინ როცა თეატრში მიდიოდნენ. ვასილი დიდი მის თანამედროვე თეატრს სამეძაო სასწავლებელს უწოდებს; მაგრამ განსაკუთრებით მღელვარე ნაკადულად სჩქეფენ ი. ოქროპირის მხილებანი.

„განა შენი სხეული ქვა არის? განა იგი რკინა არის? შენ შემოსილი ხარ კაცობრივი ხორციით, რომელიც ჩალაზე უფრო ჩქარა ეგზნება ვნებათაგან. ხშირად ერთი შეხვედრა ქალისა მოედანზე საკმარისია, რომ შევსცდეთ, შენკი, როცა ხედავ ქალს, რომელიც ტანის უსირცხვილო, ნაზ და მაცდურ რხევით მღერის გარყვნილ ლექსებს, ისერის სასირცხო სიტყვებს, იქერს ისეთ საქციელს, რომლის წარმოდგენაც შენ, მაყურებელო, სირცხვილის გამო თავს ძირს გახრევიანებს— როგორ ბედავ თქმას, რომ ვერ გრძნობ ვერაფერს კაცობრივს?.. არა, შენ უკვე შესცოდე მასთან გულისთქმით... და როდესაც იგი მიდის, შენ სულში რჩება მისი სახე, სიტყვები, ტანსაცმელი, გამოხედულება, მიმოხერა, საროსტანობა, სიმარდე, როსკიპული ნაკეთები და შენ ბრუნდები დაწყულულებული აურაცხელ ქრილობებით

განა აქედან არ წარმოსდგება არეულობა

ოჯახში? აქედან არ იღუპება უბიწოება? აქედან არის გინება და ბრძოლა? როდესაც შენ, მისგან შეპყრობილი და დატყვევებული, მოდიხარ ოჯახში, ცოლიც ისე სასიამოვნო აღარ გეჩვენება, ბავშვებიც აუტანელი, სახლიც საზაზლარი, ყველა მომსვლელიც მოსაწყენი. ამის მიზეზი ის არის, რომ შენ ბრუნდები შინ არა მარტო, არამედ მოგყავს სახლში ეს ქალი. ამის მიზეზი იმაშია, რომ შენ მარტო აღარ მოდიხარ შინ, არამედ თან მოგყავს ის ქალი, რომელიც შემოდის არა ცხადად და გამოჩენილად რაც უფრო ასატანი იქნებოდა, რადგან შენი ცოლი გააგდებდა მას გარეთ, არამედ შენ სულში და ცნობიერობაში მჯდომარე და აღმგზნებელი შენში საშინელი ცეცხლისა.“

აზრნი და გრძნობანი ქრისტიანობის ამ საუკეთესო წარმომადგენელისა აქ ისე ცხადად და სრულად არის გამოჩემული, რომ რამეს დამატება ან წინააღმდეგობა შეუძლებელია. მაგრამ იმ შორეულ დროთაგან გადმოვიდეთ თანამედროვე რუსულ თეატრზე. მამათა შეხედულებანი საფუძველად დაედო საეკლესიო კანონებს, და „სახელგატეხილი“ (позорищная—სინონიმა აქტრისისა) არ შეიძლება გახდეს ღვდლის ცოლად. ქორწინება მეძვე ქალზე და აქტრისაზე—კანონიერი დაბრკოლებაა მღვდლობის ხარისხის მიღებისათვის. მაშასადამე დღემდის, როგორც ჩინელებს და ინდუსებს, ჩვენ ეკლესიას აქტიორის პროფესია მიაჩნია რალაც, თუ დამამცირებლათ და სასირცხოთ არა, ძლიერ საეჭვოთ მაინც. იქნებ ძველი დანაშაულია ეს (ასეთი შეხედულება აქტიორზე ეკლესიისა), იქნებ სამწუხარო გაუგებრობაა?! ჩვენში, საზოგადოების ყველა წრეში, მოაპოვებინ ორიგინალური მბრძანებლები, რომელთა ბრძანებას, რა თქმა უნდა, არ აქვს სავალდებულო ხასიათი. მაგრამ აქ წინ გვიძევს ცნობილი უცვალდებელი კანონი, რომელსაც ანგარიში უნდა ვაგუწოთ. უეჭველია, რომ თუ კლასიკურ თეატრს, მიუხედავად თავის ნაკლულევიანებისა და ტენიკურ მოუწუბლობისა, შეეძლო ყოფილიყო კეთილისმოქმედ შკოლად თავის დროისა, მით

უფრო ასეთ შკოლათ შეუძლია იქნეს ჩვენი თანამედროვე თეატრი. თანამედროვე რეჟისორების ხელში ბევრი ზნეობრივ სპეტაკი და მკაცრი ესტეტიკით სავსე კლასიკური პიესებია, თანამედროვე სცენის ტექნიკას ბევრი საშვალეობა აქვს, შეასუსტოს, დაფაროს, გააკეთილშობილოს და აღამაღლოს ის მოუხეშაობა, რომელიც ხანდისხან ემჩნევა კლასიკებსაც. ამიტომ ისეთი თეატრის შექმნისათვის, რომლის გამრყენილ გავლენაზე სიტყვის თქმაც კი შეუძლებელი იქნება, სრული შესაძლებლობა გვაქვს. როგორ შეხედოვენ ამას ქრისტიანული საზოგადოება და ეკლესიის წარმომადგენელნი?

ჯერ კიდევ ქრისტიანობის პირველ საუკუნოებშივე ესტეტიკის მოყვარულნი უსაყვედურებდნენ ეკლესიის მამათა და მოძღვართა, რომ მათ დაჟინებას შესახებ გასართობებში სიარულისა არა აქვს პირდაპირი საფუძველი სამღვთო მოძღვრებაში. ამის პასუხად ეკლესიის მამანი უჩვენებდნენ თეატრის სულის გამრყენელ გავლენაზე, მაგრამ ყოველგვარ თეატრის აღკრძალვაზე მაინც არაფერი თქმულა.

ქრისტიანული შეხედულება ცხოვრების განცხრომისა და სიამოვნებაზე გამოთქმულია მოცუქულის სიტყვებში: «ყოველივე ჯერ არს ჩემდა, არამედ არა ყოველი უმჯობეს არს.» ყოველივე ჯერ არს, მაგრამ მხოლოდ ის, რაც ხელს უწყობს ზნეობრივ სიმაღლეს, ზნეობრივ პროგრესს. ამ პრინციპის მიხედვით ზნეობრივთა გამაკეთილშობილებელი თეატრინება დართული და სასურველი მოვლენა იქნებოდა ქრისტიანული შეხედულობით. მაგრამ იყო ან არის ესლა ჩვენში ასეთი თეატრი? შეგვიძლია თუ არა ვუყუროთ თანამედროვე აქტიორს, როგორც კეთილი ცხოვრების მასწავლებელს? ზოგიერთი პიესები, რომლებიც ეგრე ხშირად არ იხსენებიან რეპერტუარებში, კი, მაგრამ საზოგადოდ არა. თანამედროვე თეატრალური ხელობა, ისე როგორც წარმართებისა, ხშირად აქეზებს მაყურებლის მდაბიონებებს, აღვიძებს მასში მხეცს. ის, რაც

სიტქვა ოქროპირმა, განა მთლად ზედგამოქრილი არ არის არა თუ ოპერეტკაზე, ფარსზე, არამედ მეტ შემთხვევაში თვით ოპერაზედაც და კომედიაზედაც. ჩვენი დრამაც ძალიან ხშირად იგივე ცალიერი ყბედობაა, როგორც დარჩა ქრისტიანობის გამოჩენის დროს ბერძნული ტრაგედია. როგორც ხელოვნება, ისეთივე არიან მისი მსახურნიც უმეტეს ნაწილათ.

აქტრისას დღემდის საზოგადოებაში თითქმის ისე უყურებენ, როგორც ცხოვრებაზე თავისუფალ შეხედულების ქალს. დავინ არის ამაში დანაშაული?

— თვით საზოგადოება და თვით არტიტები. მსახიობ ქალში ჩვენი მოქიფე და შექცევის მიმყოლი ინტელიგენცია ხედავს უმთავრესად მორთულობის მოყვარე სახელგატეხილ ქალს. ვინც ახლოს იცნობს ჩვენი თანამედროვე თეატრის ინტიმურ (საიდუმლო) მხარეებს საიმპერატორო თეატრიდგან დაწყებული ვიდრე ნაძირალა თეატრამდე, ვისაც შეუძლია თითებზე ჩამოსთვალოს ყველა მსახიობი ქალები და დაასახელოს მათ შორის მხოლოდ ერთეულები, რომელთაც შესძლეს თავის ქალურ ღირსების დაცვა იმ უეჭველ განსაცდელისაგან, რომელიც არ ასცდენია თითეულ მათგანს, ვინც ღმერთს არ დაუსჯია გარეგანი სიმახინჯით, ის უცილობლათ დაგვეთანხმება ამაში. ასეთი მძიმე და სათაკილო მდგომარეობა მათი, ვინც ვადასწყვიტა შესწიროს თავის სიცოცხლე ხელოვნების სამსახურს, მგონი, უნდა აიძულებდეს თვით არტიტებს, გამოვიდნენ მსახიობ ქალის დასაცავად, რომელიც დამცირებულია თავის ქალურ ღირსებაში. მაგრამ, საუბედუროდ, ხელოვნების მსახურნი — სხვა და სხვა რეჟისორები და გავლენიანი მსახიობები, თვით ლებულობენ ხანდისხან ასეთ ქრთამს თავის ამხანაგ ქალთაგან, რომელსაც (ქრთამს) ვერ შეურიგდება მათი ღირსება. ეს კიდევ არაფერი: დამყოლობას ხანდისხან მუშაობის პირობათ უყენებენ, იგი არტიტულ კარიერის ერთი პირობათაგანია. ამიტომ ხშირად გაოცებული რჩები, როცა თეატრში ზიხარ და ხედავ, რომ რომელიმე პასუხსაგე-

ბელ როლს ასრულებს რომელიმე უნიკო აქტრისა.

სალონებში, ნათლიმამობაზე შემოიღმა თეატრალურმა კრტიკამ დიდი ხანია დაკარგა გაბედულება, ხმამაღლა აღიაროს, რაც სიღუბნეობა ხდება. გარნა სანამ არტიტუსა და არტიტკას უყურებენ, როგორც ღირსებადაკარგულ ადამიანებს, ძნელია თეატრის პატივისა და მნიშვნელობის აღდგენა, მის რეპერტუარის იდეურ განახლების პირობითაც კი. საქიროა, ნდობა მოიპოვოს არტიტმა, როგორც კაცმა, რომ გაჩნდეს სათანადო დამოკიდებულება თეატრთან. გასაკვირვალა განა ამის შექმნა რომ თეატრალურ ხელოვნებასაც და მის მსახურებსაც ბევრი ისეთ საზოგადო ძალებათ სთვლის, რომლის გავლენა ცხოვრებაზე საეჭვოდ მისაჩნევია და ეკლესიაც აქამდის არ სპობს კანონებს, რომლებსაც სახეში ჰქონდათ ძველი დროის თეატრი, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოეშორებია წარმართული ხასიათი და არ იყო ქეშმარიტი და აღფრთოვანებული მსახური იდეისა?!

საქმისთვის ვერ მივპიზნია!

ჩვენმა წერილმა (იხ. „შინ საქ“ № 29, 1909 წ.) შესახებ თავისებურათ შესწორებულ კონდაკებით წირვა-ლოცვისა ბევრი მითქმა მოთქმა გამოიწვია, რომელსაც თავის მნიშვნელობა აქვს, რა თქმა უნდა, მაგრამ ყოველისთვის თავის დრო მიაჩნია. საკმაოდ გამოირკვა, რომ ჩვენ მზათ არა ვართ წიგნების შესასწორებლად, რომ ისეთ საღვთისმეტყველო ანბანურ საკითხშიდაც ვერ შევთანხმებულვართ, თუ რა არის ლოცვა: „მოვალეობა“, „მოთხოვნა“ თუ „პირადი სიკეთე და ბედნიერება“ (!). კარგებული შეცდომები ყოველთვის იყო და იქნება საეკლესიო წიგნებში და ყოველ წიგნებშიც; მათი გასწორება ყოველთვის შეიძლება ბეჭდის დროს

და არც დიდ ცოდნას მოითხოვს ხოლო ახრების შეცვლა, ლოდიური შესწორება ჩვენ არ შეგვიძლია და გამოეყურეთ ამაში. ქართულის ცოდნას თუ ბაჯითელი და დიმიტრას მამიდაშვილი ვერ დაჩემებს, ამას ვერც მ. ცინცქე და ვერც ყოველად სამღვდელთა დავითი დაიჩემებენ. მაშ „შენც სუ და მეც სუ“, ოკრიბელის არ იყოს. ყველანი უნდა გაგჩემდეთ და ჩუმათ, შინ უნდა ვიმუშაოთ ენის შესწავლაზე, შემდეგ გამოვიდეთ და წიგნები ვასწოროთ. ეხლი კი სხვა საქმე გვაქვს; თუ რამ ზნეობრივი, გონებრივი და ქონებრივი ძალა გვაქვს ამ საქმეს უნდა შევსწიროთ. ეს საქმე გახლავს ჩვენი საღვთისმეტყველო ლიტერატურის გაზიდრება, როგორც ძველი ჩვენი მამების ნაწერების გამოცემით, ისე ნათარგმნითაც. კონდაკი კონდაკია, მაგრამ ერთი კი საღვთო წერილის სახელმძღვანელოც კარგია, ერთი ზნეობრივი—სარწმუნოებრივი და აპოლოგეტური წიგნაკიც ბევრათ ღირს ჩვენი ღირსი საეკლესიო ლიტერატურისთვის. რომ ვაგინოთ, ყველაფერი იგინება, თორემ ბ. ბ. დიმიტრას მამიდაშვილის და ბაჯითელის წერილები ზედმიწევნით გვიმტკიცებენ, რომ არა ვართ მზათ იმ დიად საქმისათვის, რომელსაც საეკლესიო წიგნების გასწორება ჰქვია. ის კომისია, რომელიც შემდგარა თბილისში ამ საქმისათვის, ექვე არ არის, დიდ ხარჯს მოითხოვს და მის ფასს ვერაფერს გაარბევს, თუ ღფრო არ წაახდენს. წიგნების სწორება, უეჭვილია, დიდ მითქმა მოთქმას გამოიწვევს პრესაში, რადგან ერთი დამუშავებული გრამატიკა არა გვაქვს და თუ ვინმე ქართული ენის მცოდნე გვაგვს, ყველას თავის საკუთარი გრამატიკა უღვეს ჯიბეში. მაშ ამ საქმის გამოწყობას საკუთარი ორგანოც უნდა, სადაც ყოველი სიტყვა საქვეყნოთ უნდა ირჩეოდეს და მტკიცდებოდეს, თორემ რას ემსგავსება ეხლა წიგნები გავასწოროთ, შემდეგ ენა შევსწავლოთ და კიდევ გავასწოროთ.

ყველაზე უნჯობესი იქნება ჯერ-ჯერობით იმერეთის სარწმუნოებრივ განმანათლებელ ძმობას შევეუერთდებოდეთ და მის მიწრაფებებს გავიზიარებდეთ. ჩვენ თუ სარწმუნო-

ების რაიმე შეგვეკირს (და თუარ შეგვეკირდეს, არც წიგნების სწორებაზე ავტკენდით თავს), რათ საღეთო საუბრებს არ ემართათ, რათ არ ვეწვიოთ სასულიერო პროზაგანდას იმ დროს, როცა საერო საუბრები სახალხო სახლებში, სახალხო უნივერსიტეტებში, თეატრებში და კერძო სახლებში დღემოდამ, „დროითი უდროვო“, როგორც ამბობს პავლე მოციქული, გაისმის. მე არ უარვყოფ ამ საუბრებს, გარნა თანავუგრძნობ კიდევ, მაგრამ ეკვი არ არის, რომ ეს საუბრები უმეტეს ნაწილად გაელენთილნი არიან თანამედროვე მატერიალისტურ-ატეისტური აზრებით და მიმართულებით, რაც დიდ საფრხეს უშხადებს ხალხის კეთილმოწმუნებობას, სამღვდლოების ვალია შეასუსტოს თავის საუბრებით თანამედროვე საერო საუბრების ასეთი გავლენა. აი სადეთ იწვევს დღევანდელ მოძღვარს თავის მოვალეობა, აი რას უნდა მიექცეს დღეს უმთავრესი ყურადღება. განა სამღვდლოების საქმე არ არის, რათა, რადენი მისცა მას ღმერთმა, არა წარწყმოდოს მის გან? და თუ ასეა, რას შერებით მამანო? აქამდი თუ საპრობილით და ბორკილებით სდევნილით ღვთის უარისმყოფლებს, დღეს ენის წვერი, კალმის წვერი და ცხოველი მაგალითია საქირო.....

ხელი.

მსარე შიქრები

გათავდა იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების კრება. კიდევ ერთმა წელიწადმა უნდა გაიაროს, სანამდის შემდგომი კრება მოხდებოდეს. როგორც ვიცით, კრებები იშვიათი მოვლენაა ჩვენ ცხოვრებაში. ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირალი, თუ საზოგადოება შებუყურებს მათ იმედის თვლით და მოედის მათგან კეთილ ნაყოფიერ შრომას. ჩვენც სწორეთ ამ იმედით ვიყავით, აღქურცილი როდესაც მივდიოდით კრებაზე, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ კრება კეთილ-სვინდი-

სიერათ აასრულებდა თავის მოვალეობას ქართველი ერის და ეკლესიის წინაშე. სამწუხაროდ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ბევრი მწარე ფიქრი გამოიწვია ამ კრებამ ჩვენ გულში, რომელსაც, ვეცდებით, გაუზიაროთ „შინაური საქმეების“ მკითხველებს.

დავანებებთ თავს კრების გარეგნულ მხარეს, ამაზე ბევრი თქმულა, მაგრამ არა გამოსულარა. მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას მის ნამუშევარს და მისგან გამოწვეულ ჩემ საკუთარ ფიქრებს.

კრებამ, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, თავდაპირველათ მიმართა ახალ ეგზარხოს მისალოცი ტელეგრაფით, რომელშიდაც თხოვდა კანონიერ უფლებების აღდგენას. მე მსურს რამდონიმე სიტყვა ვსთქვა შესახებ ამ „კანონიერი უფლების“ აღდგენისა, რომელმაც გამოიწვია მოულოდნელი პასუხი. პირადათ აღვიარებ, რომ ჩვენი ეკლესია ნამდვილათ დაჩაგრულია და დახელქვეითებულია; ამას არც ეგზარხის საპასუხო ტელეგრაფმა ჰყოფს უარს. ეს ჩვენ უნდა გვეკონდეს ყოველთვის თალისწინ, ამაზედ უნდა ვუთითებდეთ ერს; ამას უნდა ვუანდერძებდეთ შთამომავლობას, რომ მათი ყოველი ქრისტიანული ღონისძიება იხმარონ ეკლესიის კანონიერი უფლებების აღდგენისათვის. მაგრათ და ღრმათ ჩავიმარხოთ გულში ჩვენი ეკლესიის დაჩაგრულება, ერთ წუთსაც ნუ დაკავიწყდება მისი დატყვევება და სრულებითაც ნუ გვეშინია. მხოლოდ ჩვენი წმიდა, უმანკო მიზნის მისახვევით არ უნდა ჩავიდინოთ ცული, გასაკიცხავი მოქმედება. მაღალ არს ჩვენი ღმერთი, ცოცხალია ის კიდევ, ცოცხალნი არიან ჩვენი მეონნი: ღვთის მშობელი, წმიდა ნინო. წმიდა გიორგი და სხვანი მრავალნი... ისინი ჩვენ არ დაგვტოვებენ უსაშვალთ... მოვა დრო, როდესაც ქრისტეს ჭეშმარიტი მოძღვრება გაიმარჯვებს ყოველივე ქვეყნიერ და ეგოისტურ მისწრაფებაზე... რუსეთი შეხედავს რომ მისივე სიკეთისათვის, თუ არა სხვა რაიმე მაღალი მოტივისათვის, საქირო არის ქართული ერის სარწმუნოებაში განშტკიცება და დამყარება. მდიდრათ შეგქულია ჩვენი ერი ყოველივე ნიქით. მაგრამ ეს ნიქი მხოლოდ

მაშინ იქნება კეთილნაყოფიერი, როდესაც ქრისტეს სარწმუნოებით იქნება აღვსილი, კაცობრიობისათვის ის მაშინ დიდი შემოქმედებითა ძალა იქნება. გარნა თუ ეს მდიდარი ნიჭი აღიზარდა და განვითარდა გარეშე ქრისტეს სარწმუნოებისა, მაშინ ვაი იმას ვისაც ის წინ წაეღობება! აღმოსავლეთმა აღმოაქცენა მხსნელი სოფლისა, აღმოსავლეთმაც დაამხო თავისი გარყვნილებით დიდი რომის იმპერია. ვიქონიოთ იმედი რომ ჩვენი ქრისტეს მიერ ძნები, რუსები, როგორც ჩვენ ისე თავის თავს ააცილებენ ამისანა უბედურებას ეკლესიის კანონიერ უფლებათა ყურადღების მიქცევით.

ვერ დავმაღავ, რომ ყურადღების მიქცევა ბევრათ დამოკიდებულია ჩვენზედაც. ბევრჯერ ვამიგონია განათლებული რუსებისაგან, რომ ჩვენი სამღვდლოება პოლიტიკით არის გამსკვალული, რომ მას სრულებითაც არ შეეძირს ეკლესიისა, რომ მათი მიზანია ეკლესიის უფლებების აღდგენით მიიღწიონ თავის სებარატოულ იდეების განხორციელებას. განსაკუთრებით იმას უთითებენ, რომ ჩვენი სამღვდლოება თითონ თითქმის ურწმუნოა და არავითარ შრომას არ დებს ერის სარწმუნოებრივი და ზნეობრივი აღზრდისათვის... როგორ დაუჯეროთ ამისანა სამღვდლოებას, მითხრა ერთხელ ერთმა რუსის წარჩინებულმა მღვდელ-მთავარმა, — რომ ის გულწრფელათ იცავს ეკლესიის ინტერესებს.

ბევრი სიმაართლეა ამ სიტყვებში. რომ დაუკვირდები ჩვენ ცხოვრებას, მარტო რუსის მთავრობა არ არის დანაშაული ჩვენ ასეთ უკადურეს მდგომარეობაში, ეკლესიის განადგურებაში, დაღუპვის გზაზე დადგომაში... თუ რუსებს სურთ ჩვენი გადაეროვნება, ეს სრულიად ბუნებრივი სურვილია. ჩვენ რომ ვიყოთ მათ აღვიღებ, ჩვენც ისე ვისურვებთ. ჯერ ისტორიამ არ იცის ხალხი, რომელსაც არ ქონდეს ეს სურვილი, როდესაც ჩვენ გიცით, რომ ასეთი სურვილი კაცის ბუნების თვისებას შეადგენს, რას ვაქეთებთ ჩვენ, რომ ჩვენი ხმა იყოს გაგონებული, რომ ბუნებრივმა მიღრე-

კილებამ ქრისტიანულ მიღრეკილებას მისცეს აღვილი? ნუ თუ მარტო სიტყვა გვიშველის? რა და არა, მომეტებულათ საჭიროებს საქმეა ცხოველი, თვალებით შესახედავი... თუ ჩვენ შეგვჭირს ეკლესიისა, თუ ჩვენ გვსურს რომ ერის კულტურული წინასვლა ქრისტეს საფარველ ქვეშ მიმდინარეობდეს, მაშინ ჩვენ უნდა ვიყოთ ნამდვილი მოძღვარნი, ნამდვილი მწყემსნი; ჩვენი სარწმუნოების შესახებ, ჩვენი მოქმედების შესახებ გქვი არავის არ უნდა ებადებოდეს.. ჩვენ ჩვენი ცხოვრებით, ცხოველი მაგლითით უნდა ვამტკიცებდეთ, რომ ქრისტეს სარწმუნოება აუცილებელი საჭიროებაა ჩვენი ერისათვის)... ნუ თუ ჩვენი ცხოვრება უსიტყვოთ ლაღადებს ჩვენ გულითად დაჯერებას? ნუ თუ ჩვენი მუშაობა ვისმეს აჩვენებს, რომ ჩვენ ქრისტეს მოციქულები ვართ? რას ვაქეთებთ ჩვენ სოფლებში და ქალაქებში? სად არის შეუწყვეტელი ქადაგება, სად არის მწყემსი, რომელიც ეძებს ერთ დაკარგულ ცხვარს? სად არის შეუწყვეტელი ხმა ღვთის ვედრებისა? სად არის ჩვენი საქველმოქმედო დაწესებულებანი? რამოდენია ჩვენ შორის რომ დღე-ყოველ ებასება მხურვალე ლოცვაში თავის შემქნელს და მხსნელს? თითქმის მთელმა საქართველომ პიჯვრის დაუწერელათ და ულოცველათ უნდა დაიძინოს ღამით, ადგეს დილით და შრომას მიადგეს. ვისი ბრალია ასეთი სამწუხარო მოვლენა? ვინ გვიშლის ჩვენ, რომ ვამსგავსოთ ჩვენი ცხოვრება ქრისტეს, ვინ გვიშლის ჩვენ, რომ ყოველ დღე ვლოცვილობდეთ, ღმერთთან კავშირს ვამაგრებდეთ? ვინ უშლის ქ. ქუთაისში სამღვდლოებას, რომ ყოველ კვირა-უქმედებებში ქადაგება გაისმოდეს, ეკლესიებში კეთილ განწყობილი ვალობით ღვთის მსახურება იმკობოდეს? ვინ უშლის მათ თავიანთ სამრევლო სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლებას? ვინ უშლის მათ რომ მათ ეკლესიებში, სადაც ორ-ორი მღვდელია, წირვა-ლოცვა შეუწყვეტელი იყოს? არავინ და არავინ. იგინი თავისუფალი არიან, უფლებაც აქვთ, მაგრამ არ სარგებლობენ სამწუხაროთ ჩვენდა. ამისანა მოღვაწეებმა, მწყემსებმა, მოძღვრებმა

რა სინიღისით უნდა ითხოვონ „კანონიერ უფლებათა აღდგენა“, როდესაც ჯერ მათ ისიც არ შეუსრულებიათ, რაშიდაც თავისუფალი არიან. რა უნდა გვითხრას ჩვენ სამართლიანმა მსაჯულმა? ვერ გვეტყვის ჩვენ: „კეთილმონაო, სახიერო და სარწმუნოო, მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“. თუ აქამდისინ ჩვენ გულში არ არის აღნთილი ლამპარი ქრისტეს ცხოვრებისა, კანონიერი უფლებების აღდგენა ჩვენ ვერას გვიშველის, კიდევაც რომ ვინმე ჩვენი ხმა გაიგონოს. ჩვენ ჯერ უნდა ხელახლა დავიბადლოთ, ახალი ბუნება შევიძინოთ, ქრისტეს ცხოვრებას მივბაძოთ და მხოლოდ მაშინ ხმა მალა „კანონიერი უფლებების აღდგენა ვითხოვოთ“. გარწმუნებთ მაშინ თვით ტარტაროზი ვერას იზამს წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა!...

მახსენდება ერთი დრამატული სცენა სენკევიჩის რომანიდან „Quo vadis“.

მხეცი ნერონი თავისი არა უკეთესი მხლებლებით ამფიტეატრში სტკმება ქრისტიანების ტანჯვა-წვალების სქერით. ამფიტეატრი გავსებულია სისხლის მოყვარე ხალხით... ველურ მხეცებს მოეწონათ წვალების ყურება, ნერონი მისი იმპერიით კი სტკმება და განცხრომის მორევში სტურავს... ავერ სცენაზე გამოვიდა ტიტველი მშვენიერი ქალწული ნერონი ოხუნჯობს, რომ ხალხს აამოს. უმანკო მსხვერპლი აღსასრულს ელის. დასდგა კრიტიკული მომენტი. ყველა შესცქეროდა ნერონს რომლისგანაც დამოკიდებული ქალის ბედის გადწყვეტა. მის იყო ქალის საქმარო, რომაელთა განთქმული მეომარი, გვერდით იჯდა. აღარ მოუთმინა გულმა მიჯნურს, ისკუბაღ არენაზე გადახტა. სიცოცხლე აღარ იყო მისთვის სანეტარო საცვარელი არსების შემდეგ.

ამისთვის იმან არჩია ან სიკვდილი ან სიცოცხლე მხოლოდ თავის საყვარელ არსებასთან... იხმარა უკანასკნელი საშვილება მის დასახსნელათ. გაიპო გულზე ტანსაცმელი და უჩვენა გამხეცებულ იმპერა

ტორს და ხალხს რომის კეთილ-დღეობისათვის ომში მიღებული ღრმა და საშინელი კრილობანი.. ამან იმოქმედა თვით გამხეცებულ ხალხზე. მან ხმამალა მოითხოვა ქალწულის განთავისუფლება, რომლის წინააღმდეგ თვით ნერონი უძლური შეიქნა დამსახურებულმა მეომარმა იხსნა თავისი კრილობებით საყვარელი არსება, თვით მხეცებს გამოგლიჯა პირიღან თვის სატრფოს სიცოცხლე.

გულ-შემტკივარი.

შემდეგი იქნება:

კრწანისის ომი.

V

ძლიერ სიცხეა, პაპანაქება, როგორც შევნი კახეთის ზაფხულს; ყანებს დასძახის მალა მუშები და მკიან ხარბად მომწიფებულ პურს. „ჭოპუმა“ თივილ-ხივილი სიცოცხლის ელფერს აძლევს მიდამოს; ძნებად აწყობენ მძიმე თავთავებს, ეზიდვიან ურმით საღამოს. ყანას დაპყურებს გულ სავსე მუშა, აქ არის მისი ავლა-დიდება; ჯამებით ღვინო მესვეურისთვის მისაწოდებლად არ ეშურება... დღე მუდამ შრომობს ოფლად იღვრება სამაგიეროდ ღამე მის ქოხში ნეტარის ძალით მიეძინება.

მწუხრის ნიაგი გრილი, საამო კვლავ განაცხოვლებს დამუქნარს მთას, მდელი

და დიდებულად მავალი მთვარე ანათებს ღამის წყვილადს და ბნელოს; მის მკრთალ შუქს ნაზად ესალმებიან მღოვრ ალაზანის მძიმე ტალღები და ანახლეტი მდინარის სახე სქვირს როგორც სპეტაკ თოვლის ზოლ ბი...

თვალს დაატყვევებს ალაზნის გულზე
სავსე მთავარის შუქის კამკამი;-
სიჩუმე სუფევს, არ გალობს ჩიტი
და არც მოისმის მუშის კაკანი.—
მხოლოდ მალღობზე თავის სახლ კარშ
სდგას მებატონე, არ ნებდება ძილს,
გულსმწყრალი მისი გავლა-გამოვლა
გაცნობებს რევაზ ანდრონიკაშვილს,
ოდესმე განთქმულს და სახელოვანს
ქიზიყის პატრონს, სვე ამალღებულს;
დღეს კი განკიცხულს ბატონ მეფისგან,
უფლება ახდის და დამდაბლებულს.

ვის უწყრება ის? რათ არს მრისხანე?
ან რა აბროგებს ამ ნეტარ ღამეს?!
მის გულმწყრალობას რათ აცწბრობს
კოლმვილს?

ვის აბრალებს ის თავის სიავეს?!..
—ვინ დამამდაბლა? ვინ ჩამომართვა
ქიზიყის მხარე, მის ბატონობა!!
ნუ თუ რევაზი ისე დამდაბლდეს,
რომ შეაწიოს მას თავ-ხედობა,
ვინც გაასწორა იგი მიწასთან
და ჩამომართვა პირველ-კაცობა!!—
ქიზიყი იმას თავს აღარ უკრავს,
გაცუდდა მისი მოურაობა!!.

ეჰ, მეფევე, მეფევე! შენ მიყავ ესა,
შენთან მაქვს საქმე ანდრონიკაშვილს..
რევაი ისე არ დაუძღურდეს,
არ გიპასუხო შენ და ან შენს შვილს.
შურის ძიების გულისა წყურვილს
არ გაუმედღენებს რევაზი მეფეს;—
მას მოვეცურობი როგორც შემშვენიის
ერთგულს ქვეშევრდომს და მორჩილს მოყ-
მეს ..

ხოლო როდესაც დროს მოვიხელთებ
და დანდობითაც დავინდობ მეფეს,
მაშინ აჩვენებს რევაზის ხელი
როგორ ღრმად სთხრიდა იმის სამარეს!!
და ეს დროც დადგა... ალა მამად-ხანს
შემოუთვლია მეფისთვის ომი;
შურის ძიება მსურს ჩემს მეფეზე,
დღეს უნდა ვიქნე მისთვის ქვეშდრომი!!
პირზე ღიმილით მივეგებები...
შორს ავადღელებ მის ერთგულ ჯარებს,

ბოროტ-კაცობით მზეს დავუწილებ
და გავასაღებ მართლად ჩემს კორებს...
და მაშინ ნახოს, თუ რა კარგია
ღირსების ახდა და დამდაბლება!!
ოღონ იმაზე შური ვიძიო—
ჩემი სამშობლო არ მენანება!!..

ასე ფიქრობდა რევაზი, ოდეს
მეფე საომრად ჯარს ამზადებდა
და გამგებელი იგი იუდა
საუკუღმართოდ დატანტალებდა

VI

ქართლის სოფლებში მღელვარებაა;—
მეფისგან რაღაც ამბავს ელიან...
გაუგონიათ, რომ სპარსელები
ქართლში საომრად ემზადებიან.
ერეკლე მეფის მეთაურობით
სულ მოსდებიან ქართლსა და კახეთს;
ლაშქარს აგროვებს გვირგვინოსანი
და ითხოვს ქუდზე მარჯვე ვაჟაკებს.

სიღნაღში მყოფი ბატონიშვილი
ამბავს მოელის თავის მამისგან,
რომ შეაგროვოს საომრად ჯარი
და მიაშველოს მას კახეთიდგან.
ბატონიშვილი კარ ჩაკეტილში
ზის და ეძღვევა საომარ ფიქრებს...
იქ სასახლეში მეფის ამბავი
მოუტანია მის მიზბაშს აბელს:
ქიზიყისა და ლეკების ჯარებს
მეფე იბარებს მტერთან საომრად
და მეშველდრეს სწერს, რომ მიაწოდოს
ათი ათასი დაუყოვნებლად.

საქმის დაწყება ბატონიშვილმა
ადრე მიანდო რევაზ მოურავს,—
სახლთ-უხუცესად ის ჰყავს გიორგის,
უმისოდ ვერვინ ეტყოდა ამბავს...
და რომ შეხედა ანდრონიკაშვილს
თავადსა აბელს, ირაკლის მიზბაშს,
მიზბადა სახლად ასპიტმა, გველმა
და ამბავს ჰკითხავს, როგორც შეგობარს

რევაზი.

რა ამბავია, ბატონოპაბელ?
ჩქარა გივლია; გატყობ სახეზე!!

აბელი.

თავის მემკვიდრეს შაბა უბრძანებს
და ამბავს უთვლის მოსავალ ომზე.

რევაზი.

ჯარსა თხოვილობს ბატონი მეფე?
მზათ ვართ... ვერ ნახავ შენ ბატონიშვილს,
რალაც ვერ არის დღეს გუნებაზე.

აბელი.

არ შეიძლება. მეფემ მიბრძანა,
შენ ის პირისპირ ინახულებო.

რევაზი.

ვერ ნახავ. ყველას აკრძალული აქვს
ბატონიშვილის პირადათ ნახვა
და მოახსენე ბატონს, რომ მზათ ვართ;
მტერთან ომია ყველას განზრახვა...
მისი ბრძანება მიბოძე აქა,
თვითონ მივართმევ...

აბელი.

მაშ წავალ... დასტურ ამბად მივატან
ჯარის მოკრეფას, თქვენს შემზადებას
და მოკლე დროში ბატონ მეფისკენ
თქვენის მხედრობით გამომგზავრებას.

რევაზი.

ნუ იგვიანებ, ეახელ მეფეს...
შემოტრიალდა და რომ შეხედა
რევაზმა მსწრაფლად მიმავალს აბელს,
გულს გაეღიმა იმ შხამიან გველს...
მეფის ბრძანება მიხივ-მოხია,
არ გაუმელანა საქმე არავის...
მლიქვნელი, შურით და მტრობით სავსე,
მცოდნე გიორგის გულუბრყვილობის,
სარგებლობს შურის სძიებელად...
ჯარს არა ჰკრეფენ. ერთგულ თავადებს
სრუ მტრუველებით გადაიბირებს;
თვალს უზღვეს ყველას... ორი ათასი
ჯარით მეფისკენ წასვლას აპირებს.
ესეც მისთვის, რომ იქ დასწრებით

სხვებსაც მიიმხრობს და მიიზიდავს...
და ის კაენი, იგი იულა
მეფეს აუტეხს თავადიშვილებს
მაშინ როდესაც მოსული მტერი
ივერთ მეფეზე ხმალს გაიშიშვლებს.

VII.

ენკენისთვეა, ალა-მამად ხან
ტფილისის არეს უახლოვდება;
მეფე ერეკლეც უთვალავ მტრის ჯარს
ნელის ნაბიჯით წინ მოუძღვება.—
რომ მოიტყუოს კრწანისის ველზე
და იქ დარაზმულ ქართველის ჯარით
მსწრაფლ შემოერთყას ყოველ მხარეზე.
მას უეჭველად გადაჭრილი აქვს
კრწანისის ველზე იხილავს დიდ ჯარს
საქართველოდგან იქ შემოკრებილს,
როგორც თვით ბრძანა დიდებულებთან
იმ მოსაზრებით ბრძოლად დაწყობილს...

პატარა რაზმით ირაკლის თარეშს
ამაყად უმზერს სპარსეთის მეფე;
გულში იცინის, ადვილად ფიქრობს,
რომ დააბნელოს საქართველოს მზე...
დიდგულობს, მოდის. კრწანისის გმირი
მივიდა უკვე დანიშნულ ადგილს.
უკვირს, მრისხანებს, რომ ბრძოლის ველზე
ჯარებს ვერ ხედავს საომრად გაშლილს;—
თუმცა ლალატის ექვი მის გულში
ჯერ არ შესულა... „ვერ მოაწიეს“,
განიძრახვიდა. მოამბეებიც დედა ქალაქში
მოსაშველებლად მსწრაფლ გააფრინეს,
მაგრამ ამაოდ? რაც ჯარი ახლავს
მახედ ჩამოწყდა მისი მხედრობა.
არ ტყდება იგი... შვიდი ათასით
სურს მტერს აჩვენოს ივერთ გმირობა.
ალარ ჩერდება მხნე მეომარი,
მწარე ფიქრები აეშალენ გმირს;—
ნუგეშად ხედავს იმერეთის ჯარს
იმათ მეფეს და თავის შვილიშვილს.
ახლა კი მიხვდა რომ ლალატია,
თუმცა იგი არ სასო მიხდილა.
ჰა! მოახლოვდა ესაი ბრძოლისა,
გულშემზარავი გათენდა დილა;

ქროლვა დაიწყო სროლისა ბუქმა,
 მზემაც ცა წითლადამოაშუქა.
 მოპირდაპირე სპარსეთის ჯარმა
 შესამუსვრელად ჩვენ მოგვაშურა...

მაღალ ქედზე დგას ალა-მამად-ხან.
 განცვიფრებული ჯარს გადმოჰყურებს.
 მთავარ სარდალიც ივერთ პირდაპირ
 აწყობს საომრად რჩეულსა დასტებს.
 ჯერ არსადა სჩანს ქართველთა მეფე,
 თუმცა ივერნი ებრძვიან სპარსებს...
 სპარსთა ხელმწიფე გაკვირვებულა,
 უკუქცეულს რა ხედავს თვის რაზმებს.
 გაბრაზებული მის მთავარ სარდლებს
 უბრძანებს: ყველამ მსწრაფლ შეუტოეთ
 და ივერთ მეფის მცირე ლაშქარი
 ერთის მიწოლით მსწრაფლ მიანგვრიეთ“.

და მიესია ივერთ მხედრობას.
 როგორც კალია სპარსელთ სიმრავლე.
 ივერთაც ერთხმად ღმერთი ახსენეს.
 შემოიკრიბეს ძალი და ღონე,
 ვითა არწივი ეკვეთენ სპარსებს.
 ირგვლივ მტრის რაზმით გარშემორტყ-
 მულნი

არ შეუშინდენ მოვლენილს რისხვას;
 მკლავ გამართულნი იქნევდენ მახვილს.
 მტერი ვერ უძლებს მათ მედგარ ჩეხას
 და უკუქცევას დააპირებდა.
 მაგრამ სპარსელთა ურიცხვი ჯარი
 დაწყობილს რაზმებს ემატებოდა
 და, ვით ვეშაპი ივერთ მხედრობას
 ჩასაყლაპავად არ დაინდობდა...
 მტერის სიმრავლით გასჭირდა საქმე.
 თუმცა ქართველი ლომებრ გრგვინავდა
 საყვარელ მეფის თავ მოყვარებას
 სულით ხორცამდე თავს შესწირავდა.
 საზარელ სურათს ჩასაფრებული
 მცირე მხლებლებით ირაკლი მზერდა
 და რა ნახა, რომ ბრძოლისა ველზე
 ქართველთ მხედრობის ძალა მისჭირდა,
 როგორც რომ ელვა ანთო მეფე...
 ველარ ჩერდება თავის საფარში,
 ერთგულ ყმათათვის სისხლთა აღმჩქეფე
 ბროგავს, ტრიალებს, თვალთ აბრიალებს
 მრისხანედ, თითქოს დანთქმას უპირებს

მტრად შემოსეულს თავხედ მტარვალებს.
 გულს ებრძვის იგი, გრძნობა წრევა...
 და მხნედ მებრძოლი ყმები რომ ნახა,
 ველარ გაჩერდა, ანთო ცეცხლად,
 ბრძოლის სურვილმა ააცახცახა...
 სთქვა: „ზატხანის დამამხობელი
 დროშა მაიტა!“ და მიეტავა,
 როგორც არწივი, სპარსთა სიმრავლეს...
 გმირული მკლავის მსწრაფლი მოქნევა,
 სადაც მისწვდება, მტრის გუნდებს არღ-
 ვებს...

ტანად მორჩილი, ვით მარდი ვეფხვი,
 სპარსთა რაზმებში მწყრალად ტრიალებს.
 ერთით მტრებსა ლეწს, მეორე ხელში
 ძლევა მოსილად დროშა ფრიალებს...
 ბრძანა: „ჰკა მაგათ!“ და ეს მძლავრი ხმა
 ციურ ნუგეშად ივერთ მოესმა.
 ძლევა ჩვენს მეფეს! იმ ბრძოლის ცე-
 ცხლში

მათმა ხმამ მედგრად დაიგრიალა
 და დაერივნენ გალომებულნი
 მეფის იქ ყოფნით მტერის სიმრავლეს.
 ურიცხვი სპარსი ქართველმა ჯარმა
 შეუწყნარებლად მოჰკლეს, აკვებს!
 მუქარა-ლანძღვა, კვნესა-ტირილი
 ერთმანერთშია აირეოდა
 და ბევრი შვილი თვის მამულს, კერას
 იქ ბრძოლის ველზე ეახოვებოდა.
 და ზეღმტაცი ხმა ნალარისა
 ივერთ მეომართ, მედგრად მებრძოლთ,
 ვით სახმილს ცეცხლი, ისე აღაგზნებს...
 თავ-გამეტებით აწვება მძლავრ მტერს
 და აღარ ზოგავს ძალსა და ღონეს.

ივერთა მეფე თვის არწივებით
 ირაკლის მკლავსა განუმტკიცებდა;
 მუხრან ბატონი საყვარელ მეფეს,
 ვით აღრე, დღესაც ზურგს უმაგრებდა;
 ვახტანგ, ივანე ბატონიშვილნი,
 კვლავ ზაქარია მხნე მკლავიანი
 და მათთან ერთად თავადი დავით
 გმირი ჯამბაკურ-ორბელიანი
 საბედისწერო ომში ბრუნადან
 სახელოვანნი მამულიშვილნი...
 თავ-განწირული ბრძოლა გათავდა.

დამარცხებულნი დარჩენ სპარსელნი.
გამარჯვებულმა ივერთ მხედრობამ
შეუტია მათ და იქ მიიყვანა,
სად იღვა შაჰი ზარდაცემული.
გალაღბული კრწანისის გმირი
უკან მიდევდა ხმალ-აღებული!!.

გათავდა ომი. გამარჯვებული
ირაკლი მხედართ ესალამება;
უკვირს იმათი მკლავის სიმტკიცე
და მამულისთვის თავის დადება.—
ვინც დაიხოცა გმირულად ომში
იმათთვის მეფე ღმერთს ევედრება,
ცრემლს აფრქვევს რომ, მათარ მოეშალოს
აქ ხსენება და იქ ნეტარება.
ბოლოს სოლომონს ჭეტყვის: წაბრძანდი,
ნანე ქალაქში ჩემი სასახლე;
არ დაუშალო აყრა სახლობას
ვინ იცის აბა რას გვეტყვის ხვალე!!
თუმც დღეს შევემუსრე, მაგრამ სანამდის
ალა-მანხა-ხან არ აიყრება,
მანამდე ნუ გრწამს ჩემო სოლომონ,
ჩემი დიდება და გამარჯვება...
როგორღაც ვერ ვარ მე გუნებაზე,
ეს ცუდს მიქადის გამომიცლია...
ჰო ღმერთო, ღმერთო, რას ვხედავ ამას?
რა შეთქმულობა და ლალატია!!..

ავერიელი.

შენიშვნის შენიშვნა.

(კ-მ ვ მასხული.)

ამა წლის „ფონის“ მე-3 ნომერში
დაიბეჭდა ჩემი პატარა წერილი, რომე-
ლშიაც მე გავატარე პარალელი სოფლის
და ქალაქის პირველ დაწყებითი სკო-
ლათა მასწავლებლების ჯამაგირის შო-
რის, ე. ი. შევადარე ნივთიერად,
ვინ უფრო მეტს იღებს ჯამაგირს და ვის
უფრო მეტი რჩება თვიურად. ამ შედა-
რებაში ძლიერ გააკვირვა ბ. ნ. ვ. მას-
ხულია, რომელმაც ამავე „ფონის“ მე-3

ნომერში მოათავსა შენიშვნა ჩემი წერი-
ლისა გამო. ბ. ნ. მასხულიას სულ სხვაფერ
გაუგია ჩემი წერილის აზრი, რაზედაც
უნდა ვუპასუხო შემდეგი: „მე არ ვუ-
ბნობ, ბ. ნ. ვ. მასხულია, რომ სოფლის
სკოლის მასწავლებლები უფრო ბედნი-
ერნი არიან, ვიდრე ქალაქის სკოლის
მასწავლებლებითქო, (თქვენი სიტყვების
არ იყოს, არც ერთი მათგანი არ არის
სანეტარო ყოფაში) არამედ ეს თქვენი და
ვხლაც ვიმეორებ მას, რომ პირველნი
უფრო მეტს იღებენ და მათ მეტი რჩებათ
თვიურად, ვიდრე მეორეებს თქო. ყოვე-
ლივეს ამას დაგიმტკიცებთ ჩემს თავზედ
ადებული მაგალითებით: მე, თქვენმა
უმორჩილესმა მოწამე, ცოლშვილიანმა
კაცმა 15 წელიწადი ვიმსახურე სოფლის
ერთკლასიან და ორკლასიან პირველ-
დაწყებითი სკოლებში, და ისიც მაშინ,
როდესაც ხაზინიდან ჯამაგირი სან-
თლით საძებარი იყო; (არ იფიქროთ,
რომ სოფლის ცხოვრება და სოფლის
სკოლის მასწავლებლის მდგომარეობა
არ გამომეცადოს). წარმოიდგინეთ, ამ ხნის
განმავლობაში სულ მამასახლისებთან
მქონდა საქმე; ჯამაგირს გარდა უფასოდ
მეძღვოდა ორი ოთახი, შეშა განათება,
სკოლის მსახური, ბალი, ბოსტანი; ამის
გამო თვიური ჯამაგირი მთელად მრჩე-
ბოდა თავის შესანახად და ქურნალ-გაზე-
თების გამოსაწერად (იქონიეთ სახეში
სოფლის ეკონომია და სანოვაგეს სიიაფე).
მესამე წელიწადია, რაც ქალაქის პირ-
ველ დაწყებით სკოლებში ვმსახურებ,
ვიღებ წლიურად 500 მან. აქედგან
გამოვრიცხოთ ხარჯები; სახლის ქირა
წლიურად (ქალაქის განაპირას უნდა
იცხოვროთ) 120 მან., შეშა-განათება სულ
მცირე 50 მან., მსახური (პატარა ბიჭი)
30 მან. ამ გვარად დიდის გაკვირვებით
მრჩება თვეში 26 მანეთი; ეს არის საქმე-
ლი, ტანისამოსი და ცოლშვილის ხარჯი
და აგრეთვე თქვენ მიერ ჩამოთვლილი
სიამოვნება: გაზეთი, თეატრი, ცირკი,

ბიბლიოთეკა, ექიმი, წამალი, ქალაქის მხიარული ცხოვრება და შვილების გამოზრდა. ნუ თუ გგონიათ, ბ.ნო ვ. მასხულია, რომ ამ სიამოვნებას მუქთად იგემებთ ქალაქში? ამასთანავე იქონიეთ სახეში ქალაქის ცხოვრება და სანოვანის სიძვირე, რომელსაც დღეს ორი ფასი აქვს ქალაქში, შედარებით წინა წლებთან. უბედურებაც ის არის, ჩემო ხელმწიფევე, რომ ასეთ სიამოვნებას შეხვდებით ქალაქში და ყველა ამავისთვის ფულია საჭირო; სოფელში თუ მოკლებულია მასწავლებელი ამგვარ სიამოვნებას და გართობას, სამაგიეროდ არც ფული დაეხარჯება და დღეს მას თვითრად დარჩება 30 მანეთისაქმელ-სამშელისთვის, ტანისამოსისთვის და გაზეთისათვის. ქალაქის შკოლის მასწავლებლის ჯამაგირი მოაკელით ის ხარჯები, რომელიც თქვენ მიერ ჩამოთვლილი სიამოვნებას დასჭირდება და მაშინ დაურჩება მას თვეში 15 მანეთი, რის გამო ის იძულებული ხდება სალამოსათვის იშოვნოს სადმე კერძო გაკვეთილები ვის რჩება, ბ.ნო ვ. მასხულია, მეტი თვეში, აქედან აშკარად სჩანს. რა არის აქ საწინააღმდეგო, გასაკვირველი ან გაუგებარი? გარდა ამისა მიაქცეთ ყურადღება ამ გარემოებას, რომ სოფლის სკოლის მასწავლებელი დღეს ხაზინიდან ყოველთვის თავის დროზედ, ოც რიცხვში, იღებს თავის ჯამაგირს და ჩვენ კი წელიწადში ერთხელაც ვერ ველირსებით ოც რიცხვში ჯამაგირის მიღებას, არამედ ვღებულობთ დიდს ხვეწნის შემდეგ მეორე თვის ათში. რაც შეეხება „ფონის“ რედაქციის შენიშვნას იმის შესახებ, თუ „რადგან სოფლად სჯობია, ქალაქის მასწავლებლები რათ არ გაეშურებიან სოფლებში, სადაც სამკალი ბევრია და მომკელი კი ცოტაო“, ამაზედ გიპასუხებთ და მაგალითს მოვიყვან კიდევ ჩემზედ: 15 წლია სოფლად

სამსახურის შემდეგ ოჯახურმა გარემოებამ მაიძულა მეშოვნა ადგილი და არა ქალაქში მხიარული ცხოვრების, ბულვარში სეირნობის და „კავალრობის“ სურვილმა. დიდის სიამოვნებით ვისურვებდი ჩემდა თავად ისევ დაბა-სოფლებში სამსახურს, რომ ზემოხსენებული პირობები არ მიშლიდეს ხელს; ვინც კი ასეთი გარემოებით არ არიან შებოროტნი, ისინი კი სცდებიან, რომ ყოველ ზომებს და „პროტექციებს“ ხმარობენ ქალაქში გადმოსვლისათვის არაფერზედ, რომ ათი თუახმეტი წელიწადი, სანამ შვილები წამოეზრდებოდესთ, იმსახურონ სოფლებში, სადაც უფრო მეტის გაკეთება შეუძლია სოფლის მასწავლებელს, თუ კი უმრავლესობის შრომას არ დაეარქმევთ „საექვო ხასიათისას“ როგორც უწოდა „ფონის“ რედაქციის თანამშრომელმა. ამით ვათავებ ამ საგანზედ ლაპარაკს, რამდენი შენიშვნებიც უნდა მომცეს ვინმე ამის შესახებ, ყველა შეცდომა და დაუკვირებლობა იქნება. რადგან ცოცხალი მაგალითებით უკვე კარგად ვიცი, რომ ყოველივე ზემოხსენებული აქსიომაა.

ლას-ბანელი.

კოლოქიაობა.

პატიოსან არს ქორწილი ყოველთავე და საწოლი შეუგინებელი. (ებრ. 134).

პაფლე მოციქული სწერს: „ხოლო სიძვისათვის კაცად კაცდასა თვისი ცოლი ეს ვინ და თვითოველსა თვისი ქმარი ესვინ ე. ი. ადამიანი უნდა დაქორწილდეს, რომ აშორდეს გარყენილობას. მაგრამ ასეთი შეხედულობა ქორწინებაზე ცოტად თუ ბევრად ამცირებს მის მნიშვნელობას. მარტოკა ზემო მოყვანილი სიტყვები რომ ამოვგლიჯოთ წმ. მოციქულის ნაწერებიდან და სხვა ადგილებს

სადაც იგი განმარტავს ცოლქმრობის მნიშვნელობას, არ მივაქციოთ ყურადღება, გამოვა, რომ კაცს მხოლოდ თვისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად უნდა ყავდეს ცოლი; უნდა ყავდეს, რომ არ გაირყენას, ვითომც სულიერს კავშირს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს მაშინ, როდესაც ქორწინების დროს, თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა მაინც არ აქვს სულიერ მიმზიდველობას ორ ადამიანთა შორის.

ერთი გამოჩენილი მეცნიერი სწერს: „ქორწინებას მაშინ აქვს მნიშვნელობა, მაშინ აღწევს თავის დანიშნულებას, მიზანს, როდესაც იგი არის ორი ადამიანის, ერთი ქმრის და ერთი ცოლის პიროვნებათა ერთობა, რომელიც არის დამყარებული ერთი მხრივ მათ ფიზიოლოგიურ და ფსიხოლოგიურ განსხვავებაზე, მეორე მხრივ მათ სურვილზე შეავსონ ეს ერთმანეთის სქესობრივი ნაკლულევენება, ცალ მხრიობა. ამნაირ ერთ-ყოფაში, შეერთებაში ხორციელი მიდრეკილება სქესთა შეერთებისა, რომელიც ცხოველებსაც კი აქვთ, მალდდება ზნეობრივი კავშირით—სიყვარულით. ერთი სქესის პიროვნება ყოველივე თვისი ბუნებრივი მიდრეკილებით იმნაირად მჭიდროდ და გარმონიულად უერთდება თავის სხვა მხრივობას, რომ შეადგენს ერთს სულიერს ორგანიზმს, უფრო სრულს, ვინემ იგი იყო შეერთებამდისინ. ანუ, მოკლეთ რომ ვსთქვათ, მიზნათ ქორწინებისა უნდა ითვლებოდეს ქალის და კაცის სურვილი შეავსონ ამ კავშირით როგორც ხორციელი, ისე სულიერი თავთავიანთი ნაკლულევენება. ეს შევსება კი მოხდება მაშინ, როდესაც ორნი ერთ ხორცათ და ერთ სულათ გარდაიქცევიან. როგორც რომ ორი სითხე, ერთმანეთში არეულნი წარმოადგენენ ერთ სითხეს, ორთავე სითხეთა თვისებათა მექონს, ისე ცოლ ქმარი იმნაირად მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს, ისე უნდა შეითვისონ ერთმანეთის ხასიათი, რომ წარმოადგინონ ერთი განუყოფელი ადამიანი.“

ხოლო რაში უნდა გამოიხატოს ცოლქმრის შუა სიყვარული?

„ცოლს ქმარი თანამდებს ზატვის მისცემდინ, კერძო ცოლი ქმრის“ სწერს პაველ მოციქული (1. კორ. 7. 3). ეს აზრი უფრო მკაფიოთ და გარკვევით აქვს მას გამოთქმული შემდეგ სიტყვებში: „ცოლნი თვისთა ქმრთა დაემორჩილებით, ვითარცა უფალს, რამეთუ ქმარი არს თავი ცოლისა. ვითარცა ქრისტე თავი არს ეკლესიისა და იგი თავადი არს მაცხოვარი გვამისა. რომელს უყვარს ცოლი თავისი, თავი თავისი უყვარს; ქმრთა გიყვარდენ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესია და თავი თავისი მისცა მისთვის“ (ეფ. 5, 22—23) წ. მოციქული გვეუბნება: შეიყვარებით ცოლნი თვისნიო: სიყვარული კი მაშინ მოხერხდება ცოლქმრის შუა, როდესაც ორნი თანასწორათ გრძობენ თავიანთ თავს, და თუ ერთი რომელიმე მათგანი ბატონია, მეორე მხრიდან სიყვარულს ვერასოდეს ვერ დაიმსახურებს, არამედ სიძულელს დაბადავს მასში. მოციქული გვეუბნება: გინდა, რომ ცოლი დაგემორჩილოს, უყვარდეს და გამგონე იქნეს, მოექცე მას სიყვარულით; სიყვარულის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ სიყვარულს; იყავ ყოველ ეამ მზათ თავი დასდო მისთვის (ცოლისათვის), როგორც ქრისტემ დასდო თავი ეკლესიისათვის, ე. ი. სრულებითაც საკმრისი არ არის ქმარმა თავისი სიყვარული ცოლისადმი გამოხატოს მხოლოდ ჩაცმა-დახურვაში, სასმელსაქმლის შოვნაში, მოსამსახურების ყოლაში არამედ უფრო მეტი მსხვერპლის შეწირვისათვის უნდა იყოს იგი მუდმ მზათ; რომ შეხედეს თავის სიცოცხლეს არ უნდა დაზოგოს მისთვის. სადაც ასეთი სიყვარული არ არის, იქ მხოლოდ ფიზიოლოგიური სარჩული უდევს ცოლქმრობის კავშირს. შეიძლება ხორცთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სურვილი გაქარდეს, მაგრამ სულიერი კავშირი მათი სრულებითაც არ უნდა დასუსტდეს ამით, არამედ კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და მასთან განსპეტაკდეს. ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ ამის მაგალითებს. ზოგიერთი ცოლქმარი ერთმანეთის თანხმობით ფიზიოლოგიურ კავშირს თავს ანებებენ, მაგრამ სამაგიეროდ სულიერი მათი კავშირი კიდევ

უფრო ძლიერდება; მოხუცებულობას დროს როდესაც ფიზიოლოგიური მოთხოვნილება ეკარგება ადამიანს, ქორწინება არამც თუ არ ირღვევა, არამედ მოსიყვარულე ცოლქმარს ასეთი უმანკო ცხოვრება ერთმანეთთან მიჩნიათ ნამდვილ ცხოვრებათ და გაცილებით მაღლა აყენებენ მას, ვინემ ახალგაზღვრების დროისას.

ცოლქმარს შუა ღვინი და ჭირი განუყოფელი უნდა იყოს. ერთის ღვინი მეორეს უნდა ამხიარულებდეს, ერთის მწუხარება მეორეს უნდა აღონებდეს. ყოველ გაქირვების დროს ერთმანეთი უნდა გაამხნეონ. როგორც ორი ჯოხი ერთად შეკრულნი ერთმანეთს აძლევენ სიმკაცრეს, და ადვილათ კაცი ვერ გატეხს, ისე სიყვარულით დაკავშირებული ცოლქმარი ერთმანეთს ამხნევენ ყოველ გაქირვების დროს, ერთმანეთს აძლევენ სიმკაცრეს და შეძლებას გადაიტანონ, დასძლიონ ყოველივე დაბრკოლება. როგორც ორ სათავედგან გამომავალი მდინარენი ერთ კალაპოტში შეერთებულნი, შეერთებულნი ერთმანეთს ისე, რომ მათ კაცი ვეღარ გაარჩევს, ერთად მიმდინარეობენ და სძლევენ ყოველივე დაბრკოლებას. რაც კი წინ გადაეღობებათ მათ მიმდინარეობის დროს, ისე მოსიყვარულე ცოლქმარის ცხოვრებაა. მათი ცხოვრება ერთად მიმდინარეობს, ერთიერთმანეთს უმსუბუქებენ ყოველივე გაქირვების დაბრკოლების დაძლევის ტყვილა კი არ ქვიათ ქმარსა და ცოლს „შეუღლები“. ბერძნებიც და რომაელებიც ასე უწოდებდნენ ცოლქმარს. ამით როგორც, ჩვენი წინაპარნი, ისე ისინიც გამოხატავდნენ იმ აზრს, რომ ცოლქმარი ცხოვრებაში ერთსა და იმავე ქაბანს ეწევიან, ორთავეს ერთი უღელი ადგიათ კისერზე და ერთნაირად უნდა ეწეოდნენ მას, როგორც ორი ხარი ერთ უღელში შებმულნი. ხოლო ერთი მეორეს რომ არ ჩამორჩენ, საჭიროა ერთნაირად აეყვან განვითარებულებს და ერთნაირადვე უეყვანდესო შრამა. ქალი ისე უნდა აღიზარდოს, როგორც კაცა, უთუფლაფერში დახმარება და მუშაობა ისე შეესაძლოს, როგორც მამაკაცი. როდესაც ქალი განათლებული არ არის და არ შეუძლია სერიოზული

აზრების გაგება, მას არ შეუძლია კაცს ცხოვრებაში ღირსეულად უღელი გაუწიოს და უხელმძღვანელოს, გზა გაუვლიოს თავის შვილებს. მის სულსა და გულს მხოლოდ რომელიმე უაზრობა იტაცებს. „დედაქანთა ბრძენთა აღაშენეს სხვადა, ხოლო უგნურმან აღმთხარა ხელთა თვისითა“ (აგ. 14, 1), სწერია საღმრთო წერილში. ზოგიერთნი ექვის თვალთ უყურებენ დედაკაცთა შრომას და ამტკიცებენ, რომ, ქალებს ნაკლებათ ეეყვანებათ ქმრები, როცა დაინახვენ, რომ ქმრები მათი მჩვენებანი არ აქნებიათ ფიქრობენ, რომ ქალები დედობრივ სინაზეს დაკარგავენ, როცა ეცოდინებათ, რომ გაჭირვების დროს თვითონვე შეიძლებენ თავის შვილების რჩენას. ამნაირი აზრის უსაფუძვრობის დასამტკიცებლათ მოვიყვან აქ ერთი განათლებული ქალის სიტყვებს. „ყოველ წოდებაში ქმარშვილნი უფრო წმინდათ და ძლიერად ეყვარებათ ქალებს, როცა ისინი ცხოვრებაში არავის ემონებიათ ლუკმა ლუკმა პურისათვის. როცა ქალს თავის რჩენა შეუძლია და კაცზე ინიშნება. მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ საცოლოს იგი ნამდვილად უყვარს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ის დარწმუნებულია, რომ ქალი მასზე ჯგვარს იწერს მხოლოდ ანგარიშით. მშობლების სიყვარულშიც ასე ხდება ღარიბ ოჯახში შვილის დაბადება ყოველთვის სასიხარულო ამბავი როდია. ხშირად მიწინახავს, როცა შეშინებული დედა თავის ნაზი თვალებით ხან ახალდაბადებულ ბავშვს შეკუთრებდა, ხან ფერმკრთალ და შრომით ილაგაწყვეტილ ქმარსა. ის თვალები წმიდა სიყვარულს გამოხატავდნენ, რომ დედას შესძლებოდა ეთქვა თავის ქმრისათვის: „ორთავემ ვიშრომით და ვიზრუნოთ ჩვენი ბავშვისათვის“. რის მოცემა შეუძლია თქვენთვის იმ ქალს, გვეკითხება იგივე მწყრალი ქალი, რომელიც მოკლებულია დამოუკიდებელ სულიერ ცხოვრებას. განათლებას და ცოდნას? რის მოცემა შეუძლია მას გარდა თავის ხორცისა? ან იქნება ქორწინებისაგან თქვენ მართო ხორცის დაკმაყოფილებას თხოვილობა? განა თქვენთვის საჭირო არ არის დარბაისელი აღმზრდელი თქვენზე ვაჟებისა, გამოცდილი ხელმძღვანელი

ქალებისა და გონიერი გამგე შემოსავალ-გასავლისა? ნუ თუ გაქირვების დროს არ გინანიათ, რომ თქვენი ცოლი უმწეო ქმნილებაა, რომელიც დახმარების, ხელის შეწყობის მაგიერათ მხოლოდ თქვენი ცხედრის დატირება შეიძლო? თუ როდისმე მომავლადი ყოფილხართ, ნუ თუ არ გწყენიათ, როცა ხედავით, რომ თავის თავს ვერ ეტყოლი: „მადლობა ღმერთს! ცოლი მჩიება, შვილებს პატრონობას გაუწევს, თუ გაქირდა, იმუშავებს და შვილებს დაარჩენს, ჩემი სიკვდილის შემდეგ ის იქნება შვილების აღმზრდელი და ხელმძღვანელი“¹.
 გასაკვირველი კი არ არის, რომ ზოგიერთები ცოლს არ ირთავენ; ადვილი როდია მთელ თავის სიცოცხლეში მარტო კაცმა არჩინოს ჯალაბობა და ამასთანავე სიკვდილის წინ ამასა სწუხდეს, რომ უკიდურეს მდგომარეობაში სტოვებს თავის ცოლშვილს. ბევრი კარგი ნიქის პატრონი ეხლანდელ გარემოებათა გამო ცოლის შერთვაზე სრულებითაც არ ფიქრობენ, რადგანაც მათი შემოსავალი საკმარისი არ არის. ბევრს მოსწონება ქალი, მასთან ბუნებრივი აქნება, თუ შეირთავდა, მაგრამ თან ისიც უფიქრნია, რომ მკირე ჯამაგირით ორთავს რჩენა ძლიერ ძნელია. იმ კაი ქალს მხოლოდ ფულის გამოზოგვა და დიასახლისობა შეუძლია (ვთუ თუ ესეც არ შეუძლია, თორემ კაი შენ!) მაგრამ ამით ფონს ვერ გახვალ. ამისათვის მარტო კერასათვის აღზრდილი ქალი უქმროდ რჩება და ვერ ასრულებს თავის ნამდვილ მოწოდებას. ჩვენ იმ აზრისა უნდა ვიყოთ, რომ ქალთა საფუძვლიან სწავლას და მათ უნარს ქორწინებას გამრავლება მოჰყვება, ოჯახი და იხსნის თავს გარკვენილობისაგან და ხელს შეუშლის ქალ-ვაჟთა შორის უკანონო და უწესო კავშირს. ვიმეორებ, დროა გავიგოთ, რომ შრომა და ცოდნა საუკეთესო სახადია ქორწინების განშორებისა და ოჯახობრივი ცხოვრების ხნობის ამალღებისა: ქორწინება იმატებს და ოჯახობრივი ცხოვრება უფრო მარტივ ნიადაგზე დამყარდება. ბევრს გონია: უბრალო გაუნათბელი ქალის—ცოლის ქმარს არ უნდა ეშინოდეს, მაგრამ სცდებიან; ბევრი ამ უბრალო ქალთაგანი ისეთი მბრძანებლები გამოდიან თავის ქმრებისა, რომ უკანასკნელებს თავისუფ-

ლად ვერ ამოუსუნთქავთ მათ ხელში. ქალი განათლებული, მშრომელი უფრო ადვილად მიხვდება, თუ რა ტანჯვა—ვაებით შოვილობს კაცი ლუკმა პურს თავის ოჯახისათვის და ამისათვის მზად არის მას ხელი შეუწყოს და რამდენათაც შეუძლია შეუმსუბუქოს ტვირთი, ანუ სიტყვით, ანუ საქმით. „რქვა უფალმან დმერამან: ანა კეთილ არს ეოფა კაცის მარტო, უქმნეთ მას შემწე მსგავსისაებრა“ (შექ. 2, 18); „ცოლა შენა რათ წინა გაძლადეს შენ და რათა იუფს შენთან ეოველსა ჟამსა შინა“² ამბობს სოლომონ ბრძენი. (იგ. 5, 9). „ნეტარ არს რომელიც ცხოვრებს ცოდვისათანა შეცნაერისა“³ სწერს ისოზირაქი (25, 11).

პავლე მოციქული სწერს: „ქმართა გიუფარდეთ ცოდნა თვისნა და ნუ გამწარდებით მათ მიმართ“ (კოლ 3, 19). მაგრამ ვისაც ოჯახობა ყავს, გამოცდილი აქვს თავის თავზე, ძლიერაც რომ უყვარდესთ ცოლ-ქმარს ერთმანეთი, არ მოხერხდება, როდისმე ერთმანეთს არ აწყენიონ. დიდი სიფრთხილე უმართებლს მათ, რომ ერთმანეთს მოუთმინონ. როცა ერთი მათგანი გაჯავრებულია, მეორემ ხმა არ უნდა ამოიღოს პასუხი არ უნდა გასცეს, თუნდაც თავის თავს უდანაშაულოთ სთვლიდეს. გაჯავრებულ კაცს რომ პასუხი გასცე, უარესად გაცეცხლდება, სიჩუმე შენი კი ისე იმოქმედებს მასზე როგორც წყალი ცეცხლზე. ერთხელ ავგუსტინის დედას შესწირვლეს მეზობლების ქალებმა, თუ როგორ სასტიკად ეპყრობიან მათ მათი ქმრები. ავგუსტინის მიმა კი მეტად ცუდი ხასიათის პატრონი იყო, მაგრამ მშვიდათ, წყნარათ ცხოვრობდენ ცოლქმარი „თქვენ თვითონ ხართ დამნაშავენი“⁴ ო უპასუხა მათ ავგუსტინის დედამ; როცა თქვენი ქმრები გაჯავრებულნი არიან, თქვენ ყოველ მათ სიტყვას პასუხს აძლევთ და მით უარესად აბრაზებთ. მათ გაჯავრების დროს თქვენ სიტყვა არ უნდა შეუბრუნოთ და მით დაამშვიდებთო⁵. და როცა აღამიანს დანაშაულობა მიუძღვის, მაშინ მდუმარება მისი ხომ უფრო წამალია. „ნაჭი უფლისა დედაკაცი მდუმარე“⁶ ამბობს საღმრთო წერილი. ზირ. (26, 16—18).

დოქ. მ. ტყემალაძე.

კვირიდამ კვირობამდე

მწეესური მოგზაურობა.

დღეს ყოვლადსამღვდლო ლეონიდი გუ-
რიაში მოგზაურობს. ამ მოგზაურობას, რა
თქმა უნდა, მიზნათ არ ექნება მხოლოდ ეკლე-
სიების და მისი საბუთების გადათვალისწინება.
არც არავითარი მნიშვნელობა ექნებოდა სარ-
წმუნოებისათვის დღეს ასეთ მოგზაურობას. ეს
კარგად ესმის ყოვლად-სამღვდლო ლეონიდს
და ამიტომ მისი დღევანდელი მოგზაურობა
იქნება ქეშმარიტი მოციქულებრივი მსგელე-
ლობა სარწმუნოების აღსადგენად და განსამტკი-
ცებლად. ვინ არ იცის, რომ გურია ძრიელ
დაქვეითებულია დღეს სარწმუნოების მხრით,
ვინ არ იცის, რომ უმეტესმა ნაწილმა მიანც
დასტოვა ქრისტე და გადაუდგა იმ სჯულს,
რომელშიდაც აღიზარდა მათი მამა-პაპა, რო-
მელსაც თავი შესწირეს მათმა ძველებმა. თუმ-
ცა უკანასკნელ მოძრაობას აბრალებენ გურუ-
ლების ასეთ განდგომილებას, არა თუ ქრისტი-
ანობისაგან, არამედ ყოველგვარი სარწმუნოე-
ბისაგან, მაგრამ ჩვენ კიდევ დარწმუნებული
არა ვართ ამაში: ძნელი წარმოსადგენია, რომ
ერთმა და ორმა წელიწადმა ასე იმოქმედოს
მორწმუნე ხალხზე, თუ იგი წინდაწინვე განწყო-
ბილი არ არის სარწმუნოების წინააღმდეგ.
ჩვენც გვგონია, რომ მოძრაობამდისაც შერყე-
ული იყო გურულთა შორის სარწმუნოება. რა
უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? მათ ახლობელ
მეზობლებს და ძმებს მახზადის აღსარება უჭი-
რავთ და მტკიცეთაც ინახვენ, ხოლო ამათ
ასეთი სარწმუნოებისთვის უყვიათ უარი, რო-
გორც არის ქრისტიანობა ქეშმარიტად საო-
ცარი და გაუგებარი ამბავია. იმედი უნდა ვი-
ქონიოთ, რომ ყოვლად-სამღვდლო ლეონიდი
თავის მოციქულებრივ მოგზაურობის ერთერთ
უთავრეს მიზნად დაისახავს სახელდობრ ამ სა-
კითხის გამოკვლევას. თუ რამ აიძულა ხალხი
შეეძულებია და უარეყო ის სარწმუნოება,
რომლის უკეთესს ვერას ეღიროება კაცობრი-
ობა, მილიონ წელიწადსაც რომ იცოცხლოს.
ასეთ მიზეზების გამოკვლევა მოგვცემს შეძლე-
ბას შესაფერი წამლით შევუდგეთ სენის კურ-
ნებას. ვუსურვებთ მის მეუფებას მშვიდობიან
და ნაყოფიერ მოგზაურობას საღიდებელად

ღვთისა ხოლო მის მხლებელ მღვდელს ვსთხოვთ,
მოგვაწოდოს დაწერილებითი ცნობები ამ მოგ-
ზაურობის შესახებ, რასაც დიდი სიამოვნებით
დაეთმოება ადგილი ჩვენ გამოცემაში.

სინოდისაგან მოვიდა ჟღაზისოფრონ მგა-
ლობლიშვილის დათხოვნის შესახებ, თანახმად
თხოვნისა; ამით განთავისუფლდა ადგილი
სეკრეტრისა კანტორაში. დროებითი აღსრულე-
ბა ამ თანამდებლობისა კანტორამ მიანდო სტო-
ლის უფროსს ს. წერეთელს; სტოლის უფრო-
სობა კი დროებით მიენდო მ. მონასელიძეს.

ხმა დადის, ალავერდის ეპისკოპოსად
არქიმანდრიტი ანტონი (ვიორვაძე) ინიშნებაო.

განცხადება.

„ზინაური საჩემეხის რედაქციაში“

იყიდება შემდეგი წიგნაკები:

- 1. წიგნი წიგნთა ფასი — — 5 კაპ.
- 2. სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის
არსებობა — — — 5 კაპ.
- 3. ქრისტე ღმერთია? — — 10 კაპ.
- 4. ქრისტიანობა ბებელის ლაბორა-
ტორიაში — — — 10 კაპ.
- 5. ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავ-
ლენა მეცნიერებასა და ცხოვრე-
ბაზე — — — 10 კაპ.

ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს
მანეთზე აბაზი დაეთმოება.

ОБЪЯВЛЕНИЕ.

ХУДОЖЕСТВЕННАЯ И ИКОНО
ПИСНАЯ МАСТЕРСКАЯ

А. И. ЖИРЯКОВА

Въ гор. Кутаисѣ

принимаетъ заказы на иконы и стѣн-
ную живопись всякой художественной
работы по весьма умереннымъ цѣнамъ.

Имѣются одобрителныя отзывы отъ
преосвящ. ЛЕОНИДА, настоятелей
монастырей и соборовъ.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მშვიდლიძე.
გამომცემელი იოსებ ლიშავაძე.